

# ემიგრანტები

# EMIGRANTS ЭМИГРАНТЫ



№9 (19) ყოველკვირეული ჩანართი

«სხვა საქართველო ამ არის!..»

## რატომ დაემუშვიდა „სიხის დედოფალი“ ქართველ მაყურებელს?!

ემიგრანტთა რიცხვს მზია კვირიკაშვილიც ემატება...



ჩვენ ჩანართის ერთ-ერთ ნომერში, როცა ამერიკიდან პედაგოგი ქალის ინტერვიუ შემოგთავაზეთ, იგი „სიხის დედოფალი“ მზია კვირიკაშვილის ნათქვამს გამოეხმაურა და საუბრის ბოლოს აღნიშნა: „ქალბატონ მზიას უთქვამს, უმჯობესია ქართველი ქალები თავიანთ ოჯახს დაუბრუნდნენ, ამერიკელებმა კი ჩვენს მოხუცებს მოუარონო“. მე კი ვიტყვი: უმჯობესია ჩვენ ჩვენს ოჯახებს დაუბრუნდეთ, ამერიკელებმა კი მეტი ყურადღება დაუთმონ თავიანთ მოხუცებს“ -ო, გვერდ-და ამერიკიდან მოხუცის მომვლელად მომუშავე ინგლისურის მასწავლებელი. მაინც ვერც იგი და ვერც მზია კვირიკაშვილი ვერ იფიქრებდა, რომ მალე მასაც მოუწევდა სამშობლოდან წასვლა.

ახლახან კი ჟურნალმა „სარკემ“ სენსაციური და ჩვენთვის საინტერესო მასალა გამოაქვეყნა. როგორც ირკვევა, ქართული ესტრადის ცნობილი ვარსკვლავი, „სიხის დე-

დოფალი“ მზია კვირიკაშვილი საქართველოდან წასვლას აპირებს. როგორც ჩანს, ამ ბოლო დროს ვითარება ყველა მხრივ შეიცვალა და „იუმორინას“ სცენაზე „ბუჩქად დარგულმა“ მზია კვირიკაშვილმაც იგრძნო, რომ პერსპექტივა სამშობლოში სახარბიელო ვერა აქვს. გასული წლის ნოემბერში განვითარებული მოვლენების შემდეგ „იუმორინა“ რომ გაჩერდა, მზია კვირიკაშვილსაც ეკონომიური პრობლემა შეექმნა. „იუმორინა“ წელიწადში ორჯერ ტარდებოდა და პონარარს ისედაც სიმწირით ანაწილებდა, რომ თვიდან თვემდე თავი ერჩინა. როცა არ ჰყოფნიდა, შვილიც ეხმარებოდა. „იუმორინას“ გარეშე, რა თქმა უნდა, სიტუაცია კიდევ უფრო დაძვინდა. მისი თქმით, ამ პერიოდში იგი კი არ ცხოვრობდა, არსებობდა და მთლიანად შვილის კმაყოფილებაზე მოუწია ყოფნა.

**„ფილარმონია დიკეტა და არაგინ იცის, რამდენი ხნით. ამ ბოზენ, იქ სასტუმრო აშენდება. ჯემალ ბაღაშვილი კი აპირებს, პროფკავშირების შენობაში გადავიდეს და „იუმორინა“ არ გააჩეროს. მაგრამ მე დაცდის დრო არ მაქვს. 20 წლის გოგო არა ვარ. ვისურვებდი, რომ ასე წელი არ შეწყვეტოდა. იუმორინა“ მაგრამ მე მივდივარ საქართველოდან. სანამ კიდევ შემძლია სცენაზე დგომა, ეს წლები უნდა გამოვიყენო“** - ამბობს მზია კვირიკაშვილი.

მზია კვირიკაშვილი ხაზგასმით მადლობას უხდის „იუმორინას“ სულის ჩამდგმელს და რეჟისორს ჯემალ ბაღაშვილს, მაყურებელს, რომელმაც აგრძობინა, რომ ამ ხნის მანძილზე ფუჭად არ უცხოვრია და

ძველი პროფესიები, რომელიც პიანისტობასა და ესტრადისთან იყო დაკავშირებული შეიცვალა და ბავშვობის ოცნება აისრულა, ყოფილიყო მისთვის საყვარელი მსახიობების გარემოცვაში. სამაგიეროდ მაღლიერების გრძობით ვერ მოიხსენიებს იგი ხელისუფლების ზედა ფენას, როცა სიყვარულით და გულისტკივილით ემშვიდობება საყვარელ მაყურებელს. **„გემშვიდობებით დიდი გულისტკივილით. არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეს ზედა ფენას, რომელიც არაფრად ავლებს ხელოვან ხალხს ძალიან გთხოვთ, ფულიანო ბიძიკობო, მიხედეთ მომავალ ხელოვან თაობას!..“**

მაგრამ მზია კვირიკაშვილი, საბედნიეროდ, შორს წასვლას არ აპირებს და ამდენად, ამერიკელი ბებია-ბაბუების მოვლა კი არ მოუწევს, ისევ თავის საქმეს გააგრძელებს. მას რუსული მაყურებლის სიმპათიებისა და სიყვარულის იმედი აქვს და ამ მხრივ მომავალიც ეიმედება. თუმცა, იმაზე წუხს, რომ საქართველოში ალბათ ხანდაზმულობის ასაკში თუ დაბრუნდება, როცა სცენაზე გამოსვლა მისთვის არცთუ შესაფერისი იქნება.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, არც აქ არის მზია კვირიკაშვილი გაურკვეველ ვითარებაში, ემიგრანტთა უმეტესობისაგან განსხვავებით. მას უკვე გარკვეული გამოცდილება აქვს რუსეთის ესტრადისთან და სატელევიზიო იუმორისტულ გადაცემასთან დაკავშირებით. მისი მთლიანი რტრ-ზე რამდენჯერმე განმეორდა გადაცემაში „ანშლაგი“. ამას გარდა, მოსკოვში მისი გამოსვლებისას ფილმიც გადაიღეს. ამდენად, ქართველი მსახიობი, ქართული იუმორის




დედოფალი, ამერიკიდან რუსულად იხუმრებს და რუს მაყურებლებთან ერთად, რუსეთში მცხოვრებ თანამემამულეებსაც გააცინებს.

გულდასაწყვეტი მხოლოდ ისაა, რომ საქართველოში პროფესიონალების ნაკლებობა ისედაც იგრძნობოდა და ეს პროცესი ჯერაც არ

შეჩერებულა. სამაგიეროდ, ფულიანი ბიძიკობები უფრო იაფფასიანი იუმორისტის დიდძალ თანხებს ისევ არ დაიშურებენ!..

**ნიკო მსოიკა**  
ჟურნალ „ემიგრანტების“ მთავარი რედაქტორი

## ქართველ მკვლელთა დიდი საქართველოს წინაშე ფასდაუდებელია



**(გაბრძელება, დასაწყისი წინა ნომერში) ისტორიული პარალელები**

წინა ნომერში ამ რუბრიკით ქართულ-ებრაულ ურთიერთობებს შევეხეთ და ცნობილი ქართველი ებრაელის, იცხაკ დავითის ემბროსიანის გავაყვანით გვინახავს. როგორც მომხატვრულია გურამ შარაძის წიგნის „უცხოეთის ცის ქვეშ“ მინეფით.

ნაშრომის პირველ თავში ისაკ დავითაშვილი (იცხაკ დავიდი) ქართულ, ებრაულ, არაბულ, რუსულ და დასავლეთ ეროვნულ ენებზე არსებულ მდიდარ სამეცნიერო ლიტე-

რატურასა და ისტორიულ-ლიტერატურულ ძეგლებზე დაყრდნობით მიმოიხილავს საქართველო-პალესტინის ისტორიულ-ეთნიკურ და კულტურულ-რელიგიურ ურთიერთობებს, რომელიც „მოიცავდა ებრაელთა განფენა-დასახლებას საქართველოში (ვითარცა პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების შედეგს) და ქართველების ლტოლვას პალესტინისაკენ, მათ მიერ საეკლესიო-სამონასტრო ცენტრების შექმნას (რელიგიურ-სარწმუნოებრივი ფაქტორის შედეგს)“. სანდო წყაროებისა და ფოტოლიუსტრაციების შედეგად იცხაკ დავიდი ასკვნის: „პალესტინაში არსებულ ქართულ სიძველეებს და ხელნაწერებს, უმჯობესია, დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული დამწერლობის, ლიტერატურისა და საეკლესიო-სასულიერო მოღვაწეობის ეტაპების შესასწავლად. ცხადია, ამ დიდი მემკვიდრეობის შესწავლას რამდენიმე მკვლევარის არაერთი წლის დაძაბული შრომა სჭირდება“.

და აქვე განგავს ზარების შემოკვრასაც არ ურიდება: „დრო გაბრის, პალესტინა-ისრაელი მართალია არსებობს, მაგრამ აქაურ მონასტრებად და ეკლესიებში დიდი ხა-

ნი, სამწუხაროდ, აღარისმის ღვთისნიერ ქართველთა მიერ აღვლენილი ლიტანია... საჭიროა მოსწრება, გარდა მთავალის, მომსრობის დაჭერა. დღეს კიდევ შეიძლება რომელიღაც ქვის ნატეხი ნახო, რომელიმე ქართული ასოთი. ხვალ ამასაც ვეღარ ვნახავთ... გეთისმინია, ბეთლემში, სინა, იორუსალიმი, ნაზარეთი... სად არ აბერებულა ქართული, სად არ მისჩერებია პალესტინის ცას ქართველის თვალს... ეჭვგარეშეა, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული სიძველეების მოვლას და დაცვას საქართველოს ფარგლებს გარეთ, იქ, სადაც ჯამთა უბედურობის გამო იკლო ქართველთა დაღვინება“.

თავდაპირველად დავითაშვილი გვიხატავს იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის წარსულისა და თანამედროვეობის სურათს. მოჰყავს ჯვრის მონასტრის უცხოეთიდან სახელწოდებათა ისტორია და ანალიზი. გვაწვდის მონასტრის გეოგრაფიულ ადგილმდებარეობასა და სამონასტრო კომპლექსის ხუროთმოძღვრულ აღწერილობას. აქ ავტორს გადმოუხატავს ე. პიროტის მიერ ჯერ კიდევ 1864 წელს გამოქვეყნებული ჯვრის მონასტრის გეგმა და სიგრიძის ჭრილი: 1. ეკლესიაში

შესასვლელი; 2. სამლოცველო დარბაზი; 3. გუმბათი; 4. პატრიარქის საკამი; 5. იკონოსტასი (ტიხური); 6. საკურთხეველი; 7. მგალობელთა ადგილი; 8. შესასვლელი წმ. საკანში; 9. ჯვრის ხის აღმოცენების ადგილი.

1864 წლის შემდეგ პიროტის გეგმა არაერთხელ იქნა განმეორებული და გადაბეჭდილი სხვადასხვა ავტორებთან. მაგრამ ისაკ დავითაშვილამდე არავის მიუძღვებია სათანადო ყურადღება ამ გეგმაზე წარმოდგენილ საკურთხეველის მარცხენა ოთახისათვის, რომლის იატაკი მარმარილოს ფილებით იყო მოპირკეთებული და იატაკის ქვეშ ჩასასვლელს უნდა ფარავდეს. დავითაშვილი წერს: ერთ ერთი უკანასკნელი ექსპედიციის დროს, სხენებულ პატარა ოთახში მზერა მივაშტერე ორ საკმაოდ კარგად მოპირკეთებულ მარმარილოს ფილა ქვებს, რომლებიც იატაკს ფარავდნენ კედლიდან კედლამდე. მათზე კარადა იდგა საეკლესიო საგნები. მარცხნივ, ფილასა და იატაკს შორის აშკარად ჩანდა შავი ხანი, თუ სიცარიელე, რაც იმაზე მეტყველებდა, ფილები ფაქტიურად დაბლა, იატაკის ქვეშ ჩასასვლელ კარს წარმოადგენდნენ.

თავდაპირველი ვარაუდით, რასაც აღსატურება მონასტერში ახლად-მოსული არაბი ბერძენი ბერი ნარკისი, სარდაფის ქვეშ სამარხის მგვარი ნაგებობა უნდა ყოფილიყო. თავში ელვისებურად მოვარდნენ აზრები რუსთაველისა და ქართველ წარჩინებულთა საფლავების (ასევე მონასტრის იგუმენ-გამგებელთა და მძათა) გარშემო. მით უმეტეს, მთელი მონასტრისეული ტერიტორიის დათვალიერება და გულმოდგინედ შესწავლა, რაიმე სამარხ-სამაროვნის, ან ნეკროპოლის აღმოჩენის მიზნით, სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ამ შედეგის მიხედვით გვიბოძა იმ აზრმა, რომ საუკუნეების განმავლობაში, თავის სამარხებში ჩაკეტილი მიწველებებისათვის. ამდენად სათუთო იყო იმ აზრის დამტკიცება, რომ მიწველებებისათვის, მით უფრო წარჩინებულებს, გალავანს იქით დასაფლავდნენ- ამის პასუხი წყაროებშიც არ ჩანდა. სწორედ ამას დაუყენებია მკვლევარი ჯვრის მონასტრის იატაკქვეშა სიცარიელის შესწავლის აუცილებლობის წინაშე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



# ორი ქვეყნისთვის საბაჟო, რომელსაც სამუშაოში ნაკლებად იხეიბენ

ბავშვებიც.

— მე როგორც ვიცი, შენ სამო-  
დლო საქმე საქართველოში და-  
იწყებ. ახლა ამდენ საქმეს ერთად  
რომ აკეთებ, ამ რიტმში ცხოვრე-  
ბა არ გიჭირს?

— მე ყველაფერს ვასწრებ. შაბათ-  
კვირას დავალბებ ვამზადებ. მერე  
ვხვები ბავშვებს, ვთამაშობ, ველო-  
სიპედით ვსეირნობ. თითქმის ყოველ-  
დღე დავდივარ ცეკვაზე. არადა დეგები  
რომ დამითავრდება, კვირაში სამ-  
ჯერ მექნება ბალეტი. დავდივარ სიმ-  
ღერაზეც და სამოდლო სააგენტოში.

— მე ვნახე, რომ შენზე გერმა-  
ნული პრესა ბევრს წერს. შენი  
ასაკის ბევრი ბავშვია სამოდლო  
საქმიანობით დაკავებული?

— ბევრი არა. ამდენ საქმეს იქ ბავ-  
შვები არ აკეთებენ. ერთი კლასელი  
ბიჭი მყავს. ის კვირაში ორჯერ 3  
იპოდრომზე დადის. დანარჩენ დროს  
სახლში ზის და ტელევიზორს უყუ-  
რებს. სულ რამდენიმე ბავშვია სა-  
აგენტოში. გვასწავლიან სიარულს, პო-  
ზირობას და ასე შემდეგ.



The Importance of Being Earnest: Probe des englischen Theater-Clubs im St. Ur-  
ula-Gymnasium. RP-FOTO: HANS-JÜRGEN BAUER

ნერალური რეპეტიციებიდანაც. მუ-  
სიკალურ გასინჯვაშიც უხდინა და მო-  
დელის ფოტოსესიებზეც.

— საოცარი რამეა გიდე. საქარ-  
თველოში ამგვარი ანაზღაურება  
ცნობილი ვარსკვლავებსაც არა  
აქვთ ალბათ.

— მარიაში მწლის იყო, როცა სე-  
რიოზულ სამოდლო სააგენტოში მი-  
იწვიეს. სწორედ მაშინ აიღო მანსაკმა-  
ოდ სოლიდური თანხა. ერთ რეკლამა-  
ში, ბავშვის სამოსის, მან 300 ევრო  
აიღო. შემდეგ რამდენიმეჯერ მიიწ-  
ვიეს ბავშვის სათამაშოების რეკლა-  
მაზე. ასე დაიწყო მისი შემოსავალი.  
ფოტოფოლეს განახლებაც მათ ხარ-  
ჯზე ხდება. კონცერტებიდანაც დასპე-  
ტაკობიდანაც შემოსული თანხა უკ-  
ვე საკმაოდ დანაზოვი აღმოჩნდა. ამი-  
ტომაც ჩვენ დავპირდით მას, რომ  
საქართველოში წავიყვანდით არდა-  
დეგებზე და ეს ჩვენთვისაც დიდი  
შეღავათია.

— თვითონ მარიაშითვის რას  
ნიშნავს ეს შემოსავალი? თუ  
გქონდა რამე ოცნება, რომ შეგე-  
ძინა ამ ფულით, თუ შენც გერჩი-  
ნა, საქართველოში დაგხარჯა?

— დას. მე მისარია, რომ აქ ჩემს  
ასობლებს და ნათესავებს ვხედავ.  
გერმანია ძალიან კარგი ქვეყანაა, ძა-  
ლიან ლამაზია. მაგრამ ვინც ჩემი  
ასობლებია, ყველა აქ არის.

— რამდენიმე დღის წინ ბათუ-  
ში გამართულ კონკურსში გაგი-  
მარჯვია. როგორ მოხვედი ამ კონ-  
კურსზე?

— რამდენიმე დღეა ჩამოვედით სა-  
ქართველოში და დედას უნდა, მე სპორ-  
ტულ ცეკვებში აქაც ვივარჯიშო. ამი-  
ტომ მივედით მუშათაიდის ბაღში სტუ-  
დია „თელაში“, რომელიც ადრე დავ-  
დივარ. ლარისა დეიდამ შემოგვთა-  
ვა ზა ბათუმის კონკურსში მონაწილე-  
ობა. რადგან მე აქ მეწვეილე არ მყავს,  
სოლო ვიცეკვე და 15 მოცეკვავეში  
პირველი ადგილი დავიკავე.

— მართალია, ამ კონკურსში მარი-  
ამისთვის ფული არავის გადაუხდია,  
პირიქით, საკუთარი ხარჯით წავიდ-  
ნენ. მაგრამ მისი მშობლები ძალიან

კმაყოფილები დარჩნენ, რომ მარიაში  
საქართველოდან სულდამშვენებული  
მიდის. მის ჯილდოებს კიდევ ერთი  
სიგელი შეემატა, თანაც სამშობლო-  
დან წაღებული, მათთვის ჰონორარზე  
უფრო ძვირფასია. ამას გარდა, ბა-  
თუმსა და ქობულეთშიც ნახეს ახ-  
ლობლები და ზღვის სანაპიროზეც  
დაისვენეს.

მარიაში დედის დახმარებით არც  
საქართველოში ცდება. მას ევროპულ  
ყაიდაზე აქვს დრო განაწილებული და  
ახალ სიმღერას ამზადებს, რომელიც  
ბავშვთა სიმღერების ავტორმა მარი-  
კა მირველაშვილმა აჩუქა. მალე ამ  
სიმღერას ჩაწერენ. მალე მარიაში „ანა-  
ზანას“ კოსკურსშიც მიიღებს მონაწი-  
ლეობას. ამ პერიოდში მარი ქართულ  
და რუსულ ზღაპრებსაც კითხულობს  
და დროდადრო მეზობელ ბავშვებ-  
თან სათამაშოდაც იცლის. მის მრავ-  
ალმხრივ საქმიანობას არც კინო-  
როლი დაჰკლებია. შარშან საქართვე-  
ლოში სტუმრობისას იგი ერთ პატარა  
ფილმშიც გადაუღიათ.

მარიაში ახლა მხოლოდ იმას წუხს,  
რომ საზაფხულო არადადგები მას ისე  
ხანგრძლივი არა აქვს, როგორც მის  
თანატოლებს საქართველოში. ამიტომ  
იგი მალე უნდა წავიდეს გერმანიაში,  
სადაც მისი რიტმი კიდევ უფრო და-  
იძაბება, რადგან ახალი საგნები და-  
ემატა და მეტი დატვირთვა მოუწევს.  
მით უმეტეს, რომ ოქტომბერში სკო-  
ლის გუნდთან ერთად მას იტალიაში  
მოგზაურობა და კონცერტები, სასახლე-  
წლოდ კი საფრანგეთში ანალოგიურ  
ლონისძიებებში მონაწილეობა აქვს და-  
გეგმილი. საოპერო თეატრის დასიც  
განაგრძობს სელსეკრულებით და სა-  
ბალეტო სკოლაშიც დადის. სამედი-  
სო ცეკვებსაც გააგრძელებს, რომელ-  
შიც მას მუშაობას 5 პირველი ადგი-  
ლი აქვს მიღებული და უკვე პესტი-  
ული კატეგორია მიენიჭა. თუმცა,  
მას და მის მშობლებს იმედი აქვთ,  
რომ ერთი წელიც მალე გაივლის და  
მარიაში ისევ ესტუმრება სამშობ-  
ლოს.

## მე პატარა ქართველი ვარ

როგორც იცით, ამ რუბრიკით  
უცხოეთში მცხოვრებ პატარა ქარ-  
თველებს გაცნობთ, რომლებიც სამ-  
შობლოსთვის ნაკლებად ცნობილები  
არიან, უცხოეთში კი თავიანთი ნიჭის  
და შემოქმედების წყალობით საამა-  
ყონიც გახდნენ. დღევანდელი ნომრის  
სტუმარი კი ონდაგვანსხვებულ სი-  
ტუაციაშია. იგი 10 წლისაა და უკვე  
მესხეთეწულია გერმანიაში ცხოვრობს.  
მისი წარმატებების შესახებ გერმა-  
ნულ პრესაში უფრო მეტი იწერება,  
ვიდრე საქართველოში. თუმცა, ვერ  
ვიტყვი, რომ მხოლოდ გერმანიაში  
აქვს წარმატებები და საქართველოში  
მხოლოდ დასასვენებლად ჩამოდის. მა-  
რიაში მარგველაშვილმა საზოგადო-  
ებრიობის ყურადღება სამი წლის ასაკ-  
ში, ჯერ კიდევ საქართველოში ცხოვ-  
რების დროს მიიპყრო, როცა საბავ-  
შვო ტანსაცმლის რეკლამირებისათ-  
ვის პოდიუმზე პირველად გამოჩნდა.  
ახლა ამ საქმიანობას გერმანიაში უფ-  
რო მომგებიანად ასრულებს, რადგან  
გარკვეულ გასამრჯელოსაც იღებს. ამას  
გარდა, მარიაში წარმატებები სხვა  
სფეროშიც ძალზე მნიშვნელოვანია.  
იგი უკვე რამდენიმე კონკურსის ლა-  
ურეატია სპორტულ ცეკვებში და კარ-  
გადაც მღერის.

ყველაფერ ამას კი სწავლის დაძა-  
ბული რიტმიც ემატება. დიუსელ-  
დორფის პრესტიჟულ სკოლაში სწავ-  
ლის გარდა, სადაც მარი ყველა საგანს  
გერმანულად სწავლობს, იგი დამატე-  
ბით ოთხ ენას ერთდროულად ეუფე-  
ლება: ქართულს, რუსულს, ინგლი-  
სურს და ლათინურს. ქართულს იმი-  
ტომ, რომ არ დაავიწყდეს. ყველაფერ  
ამას მისი მშობლები გიორგი და ნაირა  
მარგველაშვილები უზრუნველყოფენ,  
რომლებმაც ემიგრანტული ცხოვრე-  
ბის ყველა ეტაპი გაიარეს და ახლა  
შვილის მომავალზე ზრუნავენ. შვილ-  
მაც გაუმართლა და საქართველოში  
ჩამოსასვლელ ფულსაც თავად გამო-  
იმუშავეს.

ჩვენ რომ გერმანიაში ჩავედით  
გერმანიაში სახლი არ გვქონდა არც  
ბინა და საერთოსაცხოვრებელში  
ვცხოვრობდით. ორი-სამი დღე რომ  
გავიდა, დედამ გაიციხო ერთი რუსის  
ქალი, რომელიც წავყავა სკოლების  
სანახავად. მაშინ ბოხუში ვცხოვრობ-  
დით. სამი სკოლა დავათვალიერეთ,  
კლასებიც ვნახეთ და ბოლოს რომე-  
ლიც მოგვეწონა, ის შევარჩიეთ. მაშინ  
არც რუსული ვიცოდი და არც გერმა-  
ნული. იმ ქალმა რამდენიმე სიტყვა  
მასწავლა და თანდათან დავიწყე ბავ-  
შვებთან ურთიერთობაც.

— როგორ მოახერხებ, რომ ასე-  
თი გამართული ქართულით სა-  
უბრობ? ბევრი ბავშვი მალე იგი-  
წყებს ქართულს და უმეტესად



## გერმანულად საუბრობს მშობ- ლებთან და თანატოლებთან.

— სახლში სულ ქართულად ვლაპა-  
რაობთ, რომ ენა არ დამავიწყდეს. იქ  
რამდენიმე ქართული ოჯახიც არის,  
რომელთანაც მივდივართ, ვთამაშობ,  
ვერთობი. ქალაქ ბილფელდში არ-  
სებობს საკვირაო სკოლა. როცა შეგ-  
ვეძლება, კვირაში ერთხელ დავდი-  
ვართ. იქ ცეკვებია, სიმღერებს ვსწავ-  
ლობთ, ქართულს და ისტორიასაც გვა-  
სწავლიან.

— ვიცი, ვიყავი ბილფელდში  
და შენი ლია მასწავლებლის და  
ბადრი მასწავლებლის გაკვეთი-  
ლებსაც დავესწარი. მაშინ არ და-  
დივარ შენ. იქ ბევრი ქართველი  
ბავშვი ვნახე. ახლა ალბათ მეტი  
მეგობარიც გყავს, ვიდრე მაშინ,  
როცა გერმანიაში ჩახვედი.

— ახლა ბევრი მეგობარი მყავს, მაგ-  
რამ მანამ ცოტა რუსული მასწავლეს  
მშობლებმა და რუს ბავშვებთან ვემე-  
გობრობდი. იმათაც მასწავლეს გერმა-  
ნული და ასე გავიცანი გერმანელი

საუბარში მარიაში დედა ჩაერ-  
თო: იმდენად დაკავებულია მარიაში  
ამ რიტმში, რომ დახმარება სჭირდება  
და ჩვენ ხელს ვუწყოთ. პირველი  
ოთხი წლის, ანუ დაწყებითი სავალდე-  
ბული სწავლების დასრულების შემ-  
დეგ ხდება ბავშვების განაწილება სხვა  
კატეგორიის სკოლებში მათი გონებ-  
რივი მონაცემების მიხედვით. მარი-  
ამი გაიგვა ზანა გიმნაზიაში. ახლა მეექ-  
ვსე კლასში გადავიდა. წარმატებული  
სწავლის პარალელურად, როგორც  
იცით, ბევრ სხვადასხვა სფეროშია და-  
კავებული. აქვე მინდა აღვნიშნო, რაც  
მას არ უთქვამს, ნორდ დრაივესტვა-  
ლენის მიწაზე არის ერთადერთი თე-  
ატრი „დოიჩ ოპერა მრანი“, რომელ-  
შიც იგი აყვანილი იყო რამდენიმე  
სპექტაკლში. მათ შორის, „მაცნატუ-  
ნაში“ ითამაშა საბავშვო სცენებში  
პროფესიონალ მსახიობებთან ერთად.  
დაახლოებით თვრამეტ სპექტაკლში  
ითამაშა მარტო დეკემბრის თვეში. რა  
თქმა უნდა, გასამრჯელოც აიღო არა  
მარტო სპექტაკლებიდან, არამედ გე-



ნიმე მსოიკა



# თავს ისე ბარბად ბრძნობენ, რომ სამართველოსი მხოლოდ მთავი მნატრებიათ

ინტერვიუ

იყო დრო, როდესაც ქართველები ემიგრაციაში იძულებით მიდიოდნენ და იქაც ახერხებდნენ, რომ სამშობლოს ტრადიცია, კულტურული მემკვიდრეობა შეენარჩუნებინათ.

უცხო ქვეყნებში ემიგრანტები თავშესაფარს მხოლოდ იმ ფიქრით და ოცნებით, რომ იქიდან დაესმარებოდნენ სამშობლოს და შეუნახავდნენ კულტურას, მტერს რომ სულით ხორცამდე არ გაენადგურებინა ქართველი ერი. რასაც ვერ ვიტყვით იმაზე, რაც დღეს ხდება.

დღეს ემიგრანტთა დიდინაწილი მხოლოდ საკუთარი თავის გადასარჩენად მიეშურება უცხო ქვეყანაში. იმდენად დაკნინდა სახელმწიფო და მისი ეკონომიკა, რომ საზოგადოება აიძულა, თავის გადასარჩენად ეს გზა მოენახა. სხვადასხვა ასაკის ადამიანებმა თავის ქვეყანაში რომ ვერ დაინახეს მომავალი, ქვეყნის ვარულ დაიწყეს ძებნა. მათ შორის არის ჩვენი რესპონდენტის ნინო ბაშარულიანი ოჯახი. მასთან ვახსუბრების სურვილი გამიჩნდა, რათა გავგვეგო, რანდენად მძიმეა ოჯახის ემიგრაციაში ყოფნა და რას განიცდიან შინ დარჩენილები.

ნინო, როგორც ვიცის, შენი ოჯახის წევრები საქართველოდან შორს ცხოვრობენ, რამ დააწყვეტინათ სამშობლოს დატოვება? ოჯახის წევრებიდან ვინ არიან წასულელები და რამდენი ხანია, რაც წავიდნენ?

უკვე სამი წელია, რაც ჩვენი ოჯახის წევრებმა თანდათან დატოვეს საქართველო. თავიდან მამაჩემი წავიდა, შემდეგ ჩემი ორი ძმა და დედა. ბიცილა და ბიძაც წასულიები არიან. ეკონომიკური პირობების გამო იძულებულნი იყვნენ, თავის გადარჩენის მიზნით, გაეყვიდა ოჯახის უძვირფასესი სახლის ახალგაზრდა და წასულიყვნენ უცხო ქვეყანაში, იქ ეძიათ თავის რჩენის საშუალება.

რომელ ქვეყანაში წავიდნენ და რამდენად გაუჭირდათ წასვლა?

ესპანეთის ქალაქ მადრიდში არიან. თავიდან მამაჩემი რომ წავიდა, ცოტა გაუჭირდა წასვლის პროცესი. მაგრამ იქ რომ ჩავიდა, ახლობელი დახვდა. შემდეგ მეგობარიც აღმოაჩინა. მეგობრის დახმარებით მოეწყო სამსახურში. ფარმაცევტული ბაზის საწყობის დაცვაში მუშობს.

დანარჩენი ოჯახის წევრები რით არიან დაკავებული? ბი და რამდენად შეეჩვევნენ იქური ცხოვრების წესს?

დღედაღამ დიასახლისია, ოჯახს უვლის. ენაც კი არ იცის კარგად, ლექსიკონით სარგებლობს, თუ რამე სჭირდება, მაგრამ ენის არ ცოდნა არანაირად არ აწუხებს. ჩემი ძმები კი დისტრიბუტორებად მუშაობენ მალაზიაში. ძალიან შეეჩვევნენ იქაურ პირობებს, თუმცა, იტყვიან ხოლმე, რომ ღამის ცხოვრებით ცხოვრობენ. ოღონდ საქართველოში ვერ არ ცხოვრობდნენ. იქ სულ სხვა რამ იგულისხმება ღამის ცხოვრებაში. დღისით დაძაბული შრომა უწყვეტ, ღამით კი გაართობის უფლებასაც აძლევენ თავს. იქ არის ცხოვრების სტიმული. ორივე განსხვავებული ადამიანია, თავიანთი ცხოვრების სტილი აქვთ, თავიანთი სამუშაო და სტილია შეიქმნეს. ასაკითაც ისეთ პერიოდში წავიდნენ, რომ იქ ჩამოყალიბდნენ.

იმდენად შეეჩვეულები არიან იქაურობას, რომ არც კი აქვთ სურვილი დაბრუნების. ერთადერთი მეგობრები და ჩემი დარდი აქვთ. სიმართლე გითხროთ, საქართველოს ნოსტალგია მაინცდამაინც არ აწუხებთ. უფრო აქაური სურნელები და საჭმელი ენატრებათ. ბუნებაც ძალიან უყვართ საქართველოსი, სხვა რამის მიმართ განცდა არ აქვთ.

საცხოვრებელი პირობები რამდენად მოგვარებული აქვთ?

ესპანეთი ის ქვეყანა არ არის, როგორც ევროპის ზოგ ქვეყანაშია,

მაგალითად, ჩაბარდებიან ლტოლვილებად, ქვეყანა უხდის ფულს და მუშაობის უფლებას არ აძლევს. იქ პირობით. ეუბნებიან, ჩამოდი, იმუშავე და თვითონ ირჩინე თავიო. არანაირ დახმარებას არ ძლევენ. ისინიც შრომობენ.

ლეგალიზაციის პრობლემა რამდენად მოგვარებული აქვთ?

როგორც კი ჩავიდნენ მაშინვე შეიძინეს გრინკარტა, რომელიც თითოს 3000 ევრო დაუჯდა. ჩემი ძმა წუწუნით მეუბნოდა, ერთი წელი მაგისტრის ვიშუშავო.

საცხოვრებელ ბინასთან დაკავშირებით ცოტა წვალობენ. ხან ყველანი ერთად არიან, ხან ჩემი ძმები ცალკე ცხოვრობენ. მაგრამ იქ ერთი ყოფნა და აქ ერთ-ერთი სიარული ურჩევნიათ საქართველოში საკუთარ სახლს.

როგორ ფიქრობ, შენი ოჯახის წევრები საქართველოში ოდესმე მაინც აპირებენ დაბრუნებას?

ჯერ-ჯერობით არა. კარგად იციან, საქართველოში თუ შენი ფული არ გაქვს და შენ თვითონ რაიმე საქმე არ წამოიწყე, ისე თავს ვერ გაიტან. პატარა ფულითაც ხომ ვერაფერს გააკეთებ აქ?!

ეცდებიან, თანდათან ფული „მოაყურონ“ და ჩამოიტანონ. მაგრამ ჯერჯერობით დაზოგვის შესაძლებლობა არ აქვთ.

რამდენადც გაირკვა, ოჯახის წევრებიდან მხოლოდ შენ ხარ საქართველოში, არ გაქვს სურვილი ესპანეთში, ან თუნდაც ევროპის რომელიმე ქვეყანაში წახვიდე საცხოვრებლად?

ჯერჯერობით არ ვაპირებ წასვლას. აქაც ბევრი საქმე მაქვს და იმათი დახმარების წყალობით არ მიჭირს. მაგრამ თუ წავალ, სიამოვნებით დაგირჩები კიდევ საცხოვრებლად.

იქაური ცხოვრების პირობებს და წესს რომ ეზიარები, ყოველდღიურ სამუშაო ფულს რომ შეიკრები, მერე ცნულია ალბათ აქაურობის გაძლევა. აქ, საქართველოში სად არის ვერე? ამიტომ არც მო-



გინდება ჩამოსვლა.

ლმერთმა ქნას, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ემიგრანტები დაბრუნდებიან, ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი პირობებიდან გამომდინარე, სად უნდა ჩამოვიდნენ? აქვე რელიგიური მენტორები რომ ზედმეტად ლაპარაკი, ახალგაზრდებს კი სიხსნე და სიცოცხლე სწყურიათ. განა მართლ შიმშილისგან თავის გადარჩენაა საქმე.

ამბობენ, 2006 წლიდან დღემდე საქართველოდან გასულია მილიონი ორასი ათასი

კაცი და 86000 დოლარია საქართველოში გადმოგზავნილი ამ ხალხის მიერ თავიანთი ოჯახის წევრების დასახმარებლად. ძირითადი გზავნილები აშერიკიდან, გერმანიიდან, შოტლანდიიდან და რუსეთიდანაა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ დიდ დახმარებას იღებს მოსახლეობა, ქვეყანას მაინც ძალიან უჭირს. უკვე ოცნებად იქცა ის აზრი, რომ საქართველოდან ემიგრანტთა ნაკადი იკლებს.

თქვენი რედაქციის მიერ

## ინტერვიუ ქორნოლი „კასტა“ და „სატი“

მს. საინტერესოა

ძველად ინდოეთში ქალის გათხოვება ჯერ კიდევ ადრეულ (10-12წ) ასაკში ხდებოდა, ხოლო 16-18 წლის ქალს „მინაბერას“ ეძახდნენ, რომელიც ამან რეაქციონერთა გააფთრებული ოპოზიცია გამოიწვია ლოზუნგით „ინდური რელიგია სიფათშია“ მოგვიანებით საკანონმდებლო ასამბლეამ დასახელმწიფო საბჭომ ბავშვთა ქორწინების შეზღუდვის კანონი (სარდა) მიიღო. საქორწინო ასაკი განისაზღვრა გოგონებისთვის 14, ხოლო ვაჟებისთვის 15წ. საქორწინო ცერემონიის, როგორც წესი, ყოველთვის პატარძლის სახლში ანუ მშობლის სახლში იმართება. სასიძოს ხელისგულზე დაუსხამენ ზეთს და შესავამენ, ამ დროს მექორწინებნი ნიფე-პატარძალს თავზე აყრიან ბრინჯს. მუბლზე უკეთებენ წითელი ფერის „ბედნიერების ნიშანს“. ნიფეს, პატარძლის კაბის (სარის) კიდულზე მიაბამენ, ამით კიდევ ერთხელ ხაზს უსვამენ დაქორწინებულთა მარადიულ კავშირს, შემდეგ ყველანი მიდიან მდ.განგასთან, რომელიც ყველა სულიერი არსების დედა და ყველა ცხოველის გიროლიანებს სწირავენ მას. რაც უფრო გრძელია ყვავილთა წრული, მით უფრო დიდხანს იქნებიან ბედნიერნი ნიფე-პატარძალი. თუ მამა ქალიშვილს მზითავს არ მისცემდა, მაშინ ასეთ მშობლებს გააძევენ ბედნიერ კასტიდან. ქორწინის შემდეგ ცოლი ყველაფერს აკეთებს ქმრის საამებლად, ღამაზად იცვამს, მღერის და ცეკვავს ქმრისთვის. ქმარი არის ბედი, რომელსაც ინდოელი ქალი ბავშვობიდანვე ელოდება. ქმარი ღვთისგან ნაბოძებია, ამიტომ ცოლი მისი მორჩილი უნდა იყოს. ჯერ კიდევ დაიწყებდა ლოცვას, გარდაცვლილის მუხლზე ამ დროს განზე იდგა და აღვივებად გვამის დასაწვავ ცეცხლს. მორ-

ლი არის ბუნებრივი აუცილებლობა, ქმარი კი რელიგიური. დიდ სირცხვილად ითვლება ინდოეთში, თუ ცოლი საზოგადოებრივ თავყრილობაზე ქმრის გარდა სხვა მამაკაცს მიაქცევს ყურადღებას. ქალი ისე უნდა მოიქცეს, როგორც იდეალური ინდოელი ქალი სიტა-მოსიყვარული და ერთგული ცოლი მეუღლესა. ამიტომ ყველა ცოლი მშობლებს, ოჯახური ურთიერთობის დროს მიზაძის სიტას, როგორი მკაცრი და აუტანელიც უნდა იყოს ქმარი, ცოლი ვერ მოითხოვს მისგან გაყრას, ინდუიზმის მისხედვით ეს შეუძლებელია! ქალი ქმარს სახელით არასოდეს არ მიმართავს, შვილის შექნამდე იგი ქმარს „ოჯახის უფროს“ ეძახის. ბავშვების შექმნის შემდეგ კი უფროსი შვილის (ვაჟის ან ქალის) სახელით მიმართავს, ვაჟის შექნა დიდი მოვლენა იყო და ზემოთ აღინიშნებოდა, რადგან ოჯახში გვარის გამგრძელებელია, გოგონა დაბადება კი უზუმრად ჩაივლიდა, ძველად თუ ქალს არ გააუზინებოდა შვილი, მაშინ მამაკაცს ოჯახში მეორე ცოლი მოჰყავდა. ძველად როდესაც ცოლი ქმარს დაასწრებდა სიკვდილს, ეს ბედნიერად ითვლებოდა. ქალს სულამაზი გახვედნენ და გვამს „მამანის“ (დასაწვავ) ადგილას წაიღებდნენ. თავდაპირველად გვამს ფეხებს დაუსვებდნენ, ქმარს პეშითამო. პატარა წაიღო და ასხამდა თავსა და მკერდზე, რადგან განვი წიდა წყალი და გარდაცვლილს ყველა ავისა და უწონი დაიწყებდა განსწმენდს, რის შედეგადაც მისი სული სხვა სამყაროში გადავიდა. გვამს საკოცნე შემაზე დებდნენ. ქორწინი მოვიდოდა და მიცვალებულის თვითნადაარსებობა ჩირაღდანს. გარშემო შვიდჯერ შემოუვლიდა და შემდეგ დაიწყებდა ლოცვას, გარდაცვლილის მუხლზე ამ დროს განზე იდგა და აღვივებად გვამის დასაწვავ ცეცხლს. მორ-

## 2006 დაბრუნება მიხდა!

ემიგრანტის წერილები

ჩემი მშობლები დიდი ხანია საბერძნეთში არიან. მე დეიდასთან დამტოვეს. ამიტომ სულ იმის ცდაში ვიყავი, რომ გავიზრდებოდი, მათთან წავსულიყავი. ვხედავდი, თვითონ ვერ ახერხებდნენ უკან დაბრუნებას. მერე დეიდაჩემსაც გაუჩნდა სურვილი. რამდენიმე თვე ვწვავლობდით, ველოდებოდით, ვნერვიულობდით და როგორც იქნა ცალკე მანაც მოვახერხეთ საბერძნეთამდე ჩასვლა. ორივე სერთად თითქმის 10000 ევრო დაგვიჯდა ეს მგზავრობა. გრძელვადიანი ვიზა მომცეს, თუმცა, მანამ არსად არ ვიყავი ნამყოფი. ვიფიქრე, ამ თანხად კი ღირს, თუ დროში ჩავეტრევი და რამეს მიშოვი-მეთუქი. მაგრამ სამი თვე უცვებ გამიფრინდა ხელიდან. მშობლები უკვე გარკვეულ დანახვებს აგროვებდნენ და მე დიდი წვალბა არ დამჭირვებია, რომ აუცილებლად მეშუშავა. ფაქტობრივად, უსაქმურად ვიყავი და ვისვენებდი. ვიზის ვადის გასვლის დროს რომ მოახლოვდა, მერე მივხვდი, რომ ამდენი ფული ტყუილად დახარჯე და ჯერ არაფერი გამიკეთებია იმის ასანახადაურებლად. უსაქმურობაც მომეზრდა. იქ მეგობრებთან მანაც დავდიოდი. საკუთარ სახლში როცა მომიხდებოდა მამინე შევიდოდი და როცა მინდოდა, მაშინ დავიძინებდი. ინტერნეტშიც იმდენ ხანს ვიყავი, სანამ არ

ნიკა, სალონიკიდან.

ნანა ჩიქოვანი

# ცხოველყოფილი ჯვარი პატიოსანო

ჯვარი ქრისტიანობის მთავარი სიმბოლოა, მას მრავალგვარი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ უმთავრესია ჯვარცმა, რომლის შედეგად მაცხოვარი გახდა „სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი“. ამიტომაცაა შესული ჯვარცმა ქრისტიანთა „მრწამსში“. ჯვარი არის იმედისა და ხსნის სიმბოლო. მაცხოვარი თავისი სიკვდილით გამოგვიხსნის ადამისეული ცოდვებისაგან. ჯვარცმით სჯიდნენ მონებს, უფალმა „თავისი თავი დაიმდაბლა, სახე მონისა მიიღო“ (ფილიპი, 2,7) საღვთო განგებობით, ჯვარცმის ჯვარი იქცა ცხოვრების ხედ, მაცხოვარი გახდა „ახალი ადამი“. ჯვარცმა მოხდა გოლგოთას მთაზე (ბორცვზე). გოლგოთა ნიშნავს თხემს, თავის ქალას.

გამომასხვევლობითი თვალსაზრისით ჯვარები სხვადასხვაგვარია. ქართული ჯვარი ვახსია, რომელიც ქრისტიანთა წმინდის თემებით, ესაა ქართული ქრისტიანობის უმთავრესი ნიშანი, ამ ჯვრის სახე ანუ მისი სული ღვთისმშობელმა გადასცა წმინდის.

ეკლესია ქრისტეა და ამიტომ ტაძრებში მრავალმხრივ ჩანს ჯვარი, ჯვრები კანდელებზე. არსებობს კანდელებზე წინ აღსამართავი ჯვრები.

მაშასადამე, ჯვარი, ფიზიკური ფორმითაც და სულიერებითაც, ერთმანეთს შეამ-

სვავსებს ადამიანს, ტაძარსა და ღვთაებას, ამისი საფუძველია თვით მაცხოვრის სიტყვები: „რომელმან არა აღიღოს ჯვარი თავისი და არა შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“. (მთ. 10,38) პავლე მოციქული წერდა: „ჩემდა ნუ იყოფინ სიქადულ, გარნა ჯუარითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, რომლისთვის სოფელი ჩემდამო ჯუარცმულან და მე სოფლისაგალაჲ, 6,14)

ქრისტეს ჯვრის პირველსახეებია: ხე ცხოვრებისა, ერთ-ერთი ორ ხეთაგან, რომელიც სამოთხეში იდგა, მეორე იყო ხე ცხოვრებისა; ჯვრის წინასახეა მოსეს კვერთხი, რომლის დაკვრითაც გააპო მუწამული ზღვა და ისრაელი ერი იხსნა, კვერთხითვე მან წყალი მთას გამოადინა.

არსებობს გარეგანი ჯვარი და არსებობს შინაგანი ჯვარი. ქრისტიანს ორივე ჯვარი უნდა ახლდეს, გარეგანი ჯვარი ვნებაა და ტანჯვა, შინაგანი ხსნა.

„ჯვარი არის ცოცხალი არსება, გონიერი, გაგებელი, სულიერი. ჩვენი ლოცვების მომსმენი და მათი მოპასუხე. იგი დგას უწმინდეს ქერუბიმთა და ზეციურ ძალთა შორის. მაშასადამე, იგი თავისი დასობრივი ადგილით იმყოფება უშუალოდ ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის შემდეგ ზეციურ ძალთა

ზემოთ. იოანე წინამორბედზე მალა, მოციქულზეზე ზემოთ და მალა წინასწარმეტყველებსა და წმინდანზეზე. ეს ამაღლებული არსება არის სახე და გამომხატველი მთელი ქვეყნიერებისა. (პ.ფლორენსკი)

ჯვრის ძალამ დაამსხვრია არმაზი.

არის ჯვარი ქრისტესი და არის ჯვარი ჩვენებისა, რომელსაც ისევე უნდა განვიცდიდეთ, როგორც მაცხოვარი ამბობს: „უღვრელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს. (მთ.11,30) და ეს იმიტომ, რომ ჯვარცმისას ჯვარს ეცვა მაცხოვარი თავისი ადამიანური ბუნებით. მისი ღვთაებრივი ბუნება კი არ ვნებულა, ამით მან გამოიხსნა ადამისეული ცოდვა ჩვენში, ამიტომ გვაზიარებს ჩვენც ღვთაებრიობას. ჯვარი აერთებს და აკავშირებს ჩვენში ადამიანურს და ღვთაებრივს.

მაცხოვარია ჯვარი პატიოსანი და მაცხოვარია სვეტიცხოველი, რომლის უძველესი იერსახე ის ნათლის სვეტია, უდაბნოში რომ მიუძღოდა ხალხს: „რომელს პირველ ისრაელთა ზანაკსა უძღოდა უდაბნოს სვეტითა ცეცხლისათა და გრილობდა ღრუბლითა ნათლისათა, დღეს შვილთა მისთა დასაჯეს ჯვარსა ზედა და დაფარეს დაფლვითა საფლავთა შინა.



ჯვარი პატიოსანი ამკვიდრებს ლიტურგიულ ცნობიერებას, რომ მაცხოვრებელი ვნება მარად თანამდევია.

ქანა ჩიქოვანი



ემიგრანტის დღიურები

ბატონებო, სასამართლო მობრძანდება, გთხოვთ, ფეხზე წამოდგით, -გაწვირებულნი ხმით წარმოთქვა ლოყებდაჟდაჟა, ჭორფლიანმა ინგლისელმა და ქუსლზე შემოტრიალდა. განსასჯელის სკამზე თავჩაქინდრულნი სხეული უსიცოცხლოდ წამოიშრათა, არემარეს განწირულნი მზერა შეავლო, დაზარალებულს ირონიით გადახედა და ფარფაშა მანტიანში ნელი ნაბიჯებით მოსავალ მოსამართლეს უიმედოდ შეაგება თვალები. დღეს რაც უნდა გადაწყდეს მე მაინც თავისუფალი ვარ სინდისის, კაცობის, ადამიანობის, შვილისა და ქართველობის წინაშე- გაუელვა გონებაში, ლამის ამაღლდა რადენილის განსენებით, თითქოს გამარჯვების საბოლოო დასტურად ცივისსლანინ მსაჯულები შეკრიბა განგებამ, სასწორის პინეტზე უშველებული დედის კურცხალი დაეცა, მერე მოკისკისე ეშმაკის სახეს შეუბღვირა და პასუხების გაცემას დინჯად შეუდგა. სითავსედეს ნუ იჩნებ, ამაზრზენია თქვენი არასერიოზულობა. - აფრხილდება ქუთუთოაწეული მოსამართლე პატიმარს და კითხვებს ალაგალაგ დამარცხლით უმეორებდა.

თუმცა ყველაფერი ასე დაიწყო. ერთ პატარა, ლამაზ ოჯახს ყოველდღიურობის ერთფეროვანი, გახუნებული, მოწუწუნე სახეები, უქონლობით განჩილი უფსკრული, კამათი, სვალინდელი საჭმლის მოლოდინში დიასახლისის ამოწურული ფანტაზია, კარის ზღურბლთან „რა მომიტანეს“, ძახილით ატირებული შვილის თვალები გადაულახავ წინააღმდეგობად გადაეჭედა. თაროზე შემოღებულნი დამტვერული დიპლომები, უშედეგო შეპირებები, იმედგადაწურული, ლამის ყველაფრის უარყოფამდე მისული ცოლქმრის დამკვიდრება საცოდაობა, სხვათა შემყურე საკუთარის წარსულში დამარცხის უხეირო მცდელობა თანდათან აუტანელს ხდოდა ნამშობლოს... წყვილიანი შემქმნველ სინამდღეს დიდხანს ელოდა დამაბული ჭეშმარიტება, ბოლოს როგორც იქნა მტუტავმა სხივმა გიორგის სამყარო ალბინოსის სუსხიან მიწაზე გაანათა. ლონდონში ძელი არ ყოფილა დამკვიდრება, რადგან გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ოჯახის ერთადერთ მხსნელს კარგად ჰქონდა გაცნობი-

# იკულება თუ დაღაბი?

ერეული საკუთარი ვალდებულება. ამიტომაც იყო, რომ შემგროვებლის ველური ინსტინქტებით დასაძარა გართობა, ვალაღება, მოთმინება... მას აღარ ეკითხებოდნენ ვინ, იყო, აინტერესებდათ რა შეეძლო? ასე გადიოდა თვეები, საქართველოში დარჩენილი ოჯახი დაპურდა, ისევე გამოიძარა უიღბლოდ მოღუშულ ცოლქმრულ ცაზე, ყოველსაღამოს მონატრებით ატკივებულს ხმის კანკალი დასჩემდა შვილთან საუბრისას. მერე თანდათან მოთხოვნილებები გაიზარდა, როცა მატერიალურმა უზრუნველყოფამ სულიერის არსებობაც დაბადა ზუნებრივად. დიდი წვალების შედეგად ერთ მშვენიერ დღეს „პიტროუს“, აეროპორტში ყვავილების დიდი თავიულოდ დახვდა იმას, ვისაც ყოველ ბედისწერის მიერ მუდმივ თანამდევად თვლიდა. ის უკვე მართობას გაექცა, მეუღლის გამოჩენამ გაათამაგა ენერგია, მასე მასაც თურქულ მალაზიაში სამუშაო აპოვნინა, ახლა მხოლოდ მათი ნწლის ანუკას მონატრება რჩებოდა ბოლო სიმშვიდის სინაკლულედ. მათ არაფერი აკლდათ, თავის იმის უფროსად იღვებდნენ, იტალიურ რესტორნებში სანთლებით მიზნდელ გარემოში ეპოვათ სიყვარულისათვის რომანტიკის ახალი მარცვალი. უმადურები ნამდვილად არ ყოფილან იღვებდნენ, იტალიურ რესტორნებში სანთლებით მიზნდელ გარემოში ეპოვათ სიყვარულისათვის რომანტიკის ახალი მარცვალი. უმადურები ნამდვილად არ ყოფილან იღვებდნენ, იტალიურ რესტორნებში სანთლებით მიზნდელ გარემოში ეპოვათ სიყვარულისათვის რომანტიკის ახალი მარცვალი. უმადურები ნამდვილად არ ყოფილან იღვებდნენ, იტალიურ რესტორნებში სანთლებით მიზნდელ გარემოში ეპოვათ სიყვარულისათვის რომანტიკის ახალი მარცვალი.

ასე მიუყვებოდა მძიმე მონატრების აღმართს პატარა წუთისოფლის დიდი მოლოდინი, მათ ოჯახურ იდილიას ვერაგინ შეარყევდა, ჩრდილის ნატამალსაც ვერ მიყენებდა, ცხოვრობდნენ მომავლისთვის, არ ეთაკლებოდათ საღამოობით სამუშაო საათების მერე, ფინისური პარკის, ჭრელ უბანში კარდაკარ ადგილობრივი გახეთის ჩამორიგება. თუმცა ბოლომდე მოსვენებულის ყოფა იშვიათად თუ ექნება ვინმეს უცხო ქვეყანაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა სითამამემომეტებულს თავი შეუცვლელი გგონია. გიორგის ნერვებმა სემქუნა და პოლონელი უბნის უფროსი ცემა, დაჭერასგადარჩენილი სამუშაოდან გამოაბუნძულეს... სახლში ჯდომა რატომღაც გავრცელდა, თამუნა დაუღალავად მუშაობდა, მაგრამ რიტმი შენედა, აშკარად დაუტყობ ერთთვისანი უმუშევრობა, უკვე ითვლიდნენ კაპიკებს, გიორგისთვის ყველა კარი ჩარაზულყო, თითქოს 12- მილიონიან ქალაქში ყველა ვაკანსია ეშმაკს ჩაეგდო ხელში და ახალგაზრდის მოთმინებას წვრთნიდა... ამასობაში უკმაყოფი-

ლებაც იზრდებოდა, სახლში მოსულ მეუღლეს გაშტერებული გიორგის დანახვაზე გული უეკედებოდა, ხვდებოდა იმასაც, რომ ახლო მახლო მცხოვრები ქართველების ხშირი სტუმრობა ავის მომასწავებელი უფრო იყო, ვიდრე გაჭირვებაში ჩავარდნილი მეგობრის დასახმარებლად გამოწვევლი სელი. თამუნას საფულებიდან 20 ფუნტიანებამც გაუჩინარება დაიწყო, რასაც არ იმჩნევდა თავმოყვარე ცოლი, ხოლო ხელჩაქეულ ქმარს ვერ გაეაზრებინა მისი საკვალალო მდგომარეობა. თამუნა ხვდებოდა, რომ ერთ დროს უზომოდ მოსიყვარულე მეუღლის გულგრილობაც ამაზრზენი, გაუმხელელი იყო გონებისთვის, სადა იყო გიორგის სიყვარულით აგ ხნებულის თვალების თავდასხმა, სადა იყო მისი ანგელოზის კალთაში ჩასკუპების ბედნიერება, უკვე ყველაფერი გაუცხოების მახინჯ ღრუბელს დაეფარა და მორიდებული ქალი კაცის გამოსაფხიზებლად მხოლოდ წყრომაგარეული ტონით ამოილულდებდა ხოლმე „სანამდე უნდა იყო, გიო, ასე, გაინძერი, ყველაფერი გამოგივა, ადექი, დილით დაიარე საავანტობები. გთხოვ, არ გეჩხუბები, არც გასყვედურობ, საუბედუროდ, არაფერი ესმოდა ქმარს, მხოლოდ ღრიალით იშორებდა თავიდან, ბრალდებებს უყენებდა, სხვაში ეძებდა საკუთარი შეცდომებით სისაძაგლემდე მისული უმოქმედობის მიზეზს. კი იკარგებოდა იგი, უკვე მოურიდებლად იტყუებდა გაბრუების მოციქული ნაირნაირ ფანტაზიებში, არც უმაჯავდა ცოლს, რომ ნერვების დასაწყნარებლად ნარკოტიკებს დაემოინა... თამუნაც შეცვლილიყო მისდა გასაოცრად, თითქოს შეგუებოდა ბედს, აღარც მამაკაცური მიზნულობა აღარდებდა ქმრის, აღარც მისი ბრიყვი გამოსხვდა, ცხოვრობდა შვილისთვის და სახლში მოსულს ელოდებოდა ვიღაც კაცი, რომელსაც აღარ იცნობდა, მხოლოდ თვალის ასახვევად თანაცხოვრების აუცილებლობად მიაჩნდა იგი. მათ შორის კონტაქტი გაწყდა, გაიკრულ გულს მისსელი ადარ აწვდიდა სიამოვნების ნაპერწკალს, ცეცხლი ჩამქრალიყო სიყვარულის კერიაში და მოსახდენის გარდაუვალობას გაყოლოდა ორივეს გონება.

არაფერი გამოცვლიდა თვეების მანძილზე, გიორგი ზოგჯერ ღამე სახლშიც აღარ მოდიოდა ხოლმე, იქვე ეპოვა თავის დასაღუპი ბუნაგი, ჭიქის ან ტარიანის ძმებს შეეცდებოდა უსუსურად. თამუნასათვის სიცოცხლემ დაკარგა მიზანი, თვალებმა სისხლისე, ახლა მისთვის მთავარი მხოლოდ ის იყო, როგორ დასძვრომოდ გაუსაძლის ყოფას და დამოუკიდებლად გავგრძობებინა არსებობა. ხო, ქალს ზოგჯერ ბევრი აქვს გადასატანი, იქნებ მამაკაცზე მეტი, მაგრამ დედა, რომელიც თავისი შვილის მამის გაუბედურებას არ შეაჩერებს, თავადაა მონაწილე ყოველივესი. სისუსტე არ ერქვა ამას, უფრო მეტად ქარაფშუტობა, დანებება და ვინ იცის, იქნებ ახლის ძიების ქვეცნობიერი სურვილი ქალში. თამუნას ყურადღება მოაკლდა, იგი ფუნქციონირებდა ქალის რეალობადე მივიდა, პატიოსნება ერთხელაც

გიოს გაბრუებულ ფანტაზიებს მიანდო და ერთ თურქს ნახევარწლიანი შიმშილის მერე მოფერება გააბედინა. თამუნა დასაძრახად, თითის გასაშვერ ქართველად გადაიქცა ან გადააქცია დაუნდობელი ბედისწერამ. ახლობლებმაც მოიძულეს იგი, აღარავინ ეკარებოდა, სახელი ზუსტად ვერ შეურჩიეს. გამაწარებელი, დამცირებელი ქალსა და სიკეკლუცე მონატრებულ ამორიდულ შორის არჩევანზე ყოყმანობდა ბევრი, ხოლო მისი ბავშვობის სიყვარული მოხეტიალე ქურჩის ძალიერით თხოვდა ქართველებს გროშებს... მათი განწივრება არ ყოფილა მოულოდნელი. უბრალოდ, ბავშვურ ასაკში დაქორწინებულებს, სიყვარულით გაბრუებულებს მიმართულელებში შეეცვალათ. ერთი მეზობელი იყო, ხოლო მეორე მოწუწუნე არაფრისმქეული.

სიყვარულის ქურდი თურქი უღვაშებს შვებით იპრხდა მალაზიაში შემოსული კლინტების დანახვაზე და ხელში კრიალონანს ათამაშებდა, სიცხილი გულუხვი იცოდა, ზოგჯერ უადგილო. თამუნა დახლებს შორის დაფუსფუსებდა და ახალ იარაღებს აკარგდა საქონელს. მათ თითქოს ერთმანეთი ეპოვათ, ერთს იძულების მსხვერპლი ერქვა, ხოლო მეორეს ლამაზმანის მზრუნველობაში დაღუპული ვაჭარი. დღის მონაგარი კოცნა-ხვევნაში დათვალეს, კმაყოფილები ჩანდნენ ამკარად. სიგნალიზაცია ჩართეს, მერე შეამოწმეს, გარეთ უჩვეულო სიწყნარე დასველებულიყო უვარსკვლავო ცის კალთებიდან, მექმედმა მანქანის გასაღები დააწკაპუნა, კარი გამოხსნა... მოულოდნელად მის ცხვირწინ შავ ქურთუკში გამოწყობილი, მობუზუ-შვილი კაცი გამოჩნდა და ხმის ამოვარება მისი თვალის მოქნევით მიწაზე დასცა იგი. თამუნამ განწირული ხმით დაიკვილა, ვაიმე მოკლეს, გვიშველეთ, უეცრად შეწყდა მისი ხმაურიც, პირზე სელაფარებული გიო ბნელი კუთხისაკენ მიათრევა ერთ დროს მოსიყვარულე მეუღლეს.. მოღალატე, თურქზე გაყიდული კახაა, დავამთავრებ შენს ზღაპარას - არ ცხრებოდა შემოილი მამაკაცი და იდაყვებს მთელი ძალით სცემდა ქალის ფაფუკოკლებს. დასისხლიანებული თამუნა პატივებს სთხოვდა, არ მომკლა, რაც უნდა იყოს, ანუკას დედა ვარ, შენი ლამაზი შვილის, შენ რომ ასე უმოწყალოდ მიატოვე... არა, არა, ქვითინებდა ქალი გიორგის სასამართლო 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის, თურქისათვის მიყენებული ჭრილობა მუცლის არეში სასიკვდილო ვარ აღმოჩნდა. თამუნა გატრუნული უსმენდა ვერდიქტს, მგლოვიარე, გამოფიტული სახის გამომეტყველება სიცოცხლეს სტიროდა და სიკვდილს ნატრობდა. მსჯავრდებულის ბოლო სიტყვაში ჩაღვნილ ქმედების გამო სინანული არ ჩანდა, ერთადერთი, რაც მან გულსტიკივლით თქვა, ის იყო, რომ ძალიან განიცდიდა ღალატს საკუთარი შვილის მიმართ.

ქანა გელთაქა